თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6956854

ნომერი: AR11017447

თარიღი : 21.02.2024

გაცემის თარიღი : 28.03.2024

გაცნობის თარიღი : 28.03.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამას ქუჩა, N 103;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გურგენიძე პ/ნ 01024055103
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 12ა ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 21 თებერვლის №AR11017447 განცხადებით მომართა გიორგი გურგენიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებით, №01.72.14.094.820 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 25 ნოემბრიდან 2021 წლის 25 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 21 დეკემბრის №6259066 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდა 414.2 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდა 2022 წლის 22 ოქტომბრის №AR1930035 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გენ-გეგმით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება. კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე 71.9 კვ.მ. ფართობის დამატება. ასევე მოთხოვნილია, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 7340.6 კვ.მ-ის ნაცვლად 7330.1 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 892.2 კვ.მ-ის ნაცვლად 892.1 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად: 1753.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1653.6 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1722.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1627.1 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და საერთო ფართობი 12689.3 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 12554.9 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი: 71.9 კვ.მ., ამასთან, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 7330.1 კვ.მ, კომერციულ ფართობად: 892.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად: 1653.6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1627.1 კვ.მ. საერთო ფართობად: 12554.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში ატვირთული გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 25 ნოემბრის №5199823 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge